ბიზნეს სექტორი

ოფიციალურად დეკლარირებული მონაცემებით, 2011 წლის III კვარტალში საწარმოთა **მთლიანმა ბრუნვამ** 6.87, ხოლო **პროდუქციის მთლიანმა გამოშვებამ** – 3.76 მილიარდი ლარი შეადგინა.

მთლიანი ბრუნვა საწარმოს ზომის მიხედვით შემდეგნაირად ნაწილდება:

- მსხვილი ბიზნესი – 84.6 პროცენტი,
- საშუალო ბიზნესი – 6.5 პროცენტი,
- მცირე ბიზნესი – 8.9 პროცენტი.

ოდნავ განსხვავებული მდგომარეობაა **პროდუქციის მთლიანი გამოშვების** შემთხვევაში:

- მსხვილი ბიზნესი – 83.1 პროცენტი,
- საშუალო ბიზნესი – 7.1 პროცენტი,
- მცირე ბიზნესი – 9.8 პროცენტი.



საწარმოთა მიერ განხორციელებულმა **საქონლისა და მომსახურების მთლიანმა ყიდვებმა** კვარტალის განმავლობაში 5.2, ხოლო **გადასაყიდად განკუთვნილი საქონლისა და მომსახურების ყიდვებმა** - 3.2 მილიარდი ლარი შეადგინა.

საქონლისა და მომსახურების მთლიანი ყიდვები საწარმოს ზომის მიხედვით შემდეგნაირად ნაწილდება:

- მსხვილი ბიზნესი – 85.8 პროცენტი,
- საშუალო ბიზნესი 5.8 პროცენტი,
- მცირე ბიზნესი – 8.4 პროცენტი.

თითქმის იდენტური ვითარებაა **გადასაყიდად განკუთვნილი საქონლისა და მომსახურების ყიდ-ვებზეც**:

- მსხვილი ბიზნესი – 86.9 პროცენტი,
- საშუალო ბიზნესი – 5.7 პროცენტი,
- მცირე ბიზნესი – 7.4 პროცენტი.

საწარმოთა მიერ განხორციელებულმა **მთლიანმა ინვესტიციებმა ფიქსირებულ აქტივებში** შეადგინა 167.6 მილიონი ლარი, რაც საწარმოთა ზომის მიხედვით შემდეგნაირად ნაწილდება:

- მსხვილი ბიზნესი – 80.0 პროცენტი,
- საშუალო ბიზნესი – 9.1 პროცენტი,
- მცირე ბიზნესი – 10.9 პროცენტი.

საწარმოებში **დასაქმებულთა მთლიანმა რაოდენობამ** 360.1 ათასი კაცი შეადგინა, რომელთაგან 38.6 პროცენტი ქალია, ხოლო 61.4 პროცენტი - კაცი.

დასაქმებულთა მთლიანი რაოდენობა საწარმოს ზომის მიხედვით შემდეგნაირად ნაწილდება:

- მსხვილი ბიზნესი – 62.1 პროცენტი,
- საშუალო ბიზნესი – 14.7 პროცენტი,
- მცირე ბიზნესი – 23.1 პროცენტი.

მსგავსი ტენდენციაა ცალკეული სქესის მიხედვით დასაქმებულთა მთლიანი რაოდენობის საწარმოს ზომის მიხედვით განაწილებაშიც:

ქალები

- მსხვილი ბიზნესი – 57.0 პროცენტი,
- საშუალო ბიზნესი – 18.1 პროცენტი,
- მცირე ბიზნესი – 24.9 პროცენტი.

კაცები

- მსხვილი ბიზნესი – 65.4 პროცენტი,
- საშუალო ბიზნესი – 12.6 პროცენტი,
- მცირე ბიზნესი – 22.0 პროცენტი.

შემდეგი დიაგრამა ასახავს მსხვილ, საშუალო და მცირე ბიზნესში დასაქმებულთა მთლიანი რაოდენობის განაწილებას სქესის მიხედვით:



საწარმოებში **დაქირავებულთა მთლიანმა რაოდენობამ** 344.3 ათასი კაცი შეადგინა, რომელთაგან 39.0 პროცენტი ქალია, ხოლო 61.0 პროცენტი - კაცი.

დაქირავებულთა მთლიანი რაოდენობა საწარმოს ზომის მიხედვით შემდეგნაირად ნაწილდება:

- მსხვილი ბიზნესი – 64.8 პროცენტი,
- საშუალო ბიზნესი – 15.3 პროცენტი,

- მცირე ბიზნესი – 20.0 პროცენტი.

დაახლოებით მსგავსი ტენდენციაა ცალკეული სქესის მიხედვით დაქირავებულთა მთლიანი რაოდენობის საწარმოს ზომის მიხედვით განაწილებაშიც:

ქალები

- მსხვილი ბიზნესი – 58.9 პროცენტი,
- საშუალო ბიზნესი – 18.7 პროცენტი,
- მცირე ბიზნესი – 22.4 პროცენტი.

კაცები

- მსხვილი ბიზნესი 68.6 პროცენტი,
- საშუალო ბიზნესი – 13.0 პროცენტი,
- მცირე ბიზნესი – 18.4 პროცენტი.

შემდეგი დიაგრამა ასახავს მსხვილ, საშუალო და მცირე ბიზნესში დაქირავებულთა მთლიანი რაოდენობის განაწილებას სქესის მიხედვით:



საწარმოთა **მთლიანმა დანახარჯებმა პერსონალზე** შეადგინა 747.3 მილიონი ლარი, რომლის განაწილება საწარმოთა ზომის მიხედვით შემდეგია:

- მსხვილი ბიზნესი – 75.2 პროცენტი,
- საშუალო ბიზნესი – 10.8 პროცენტი,
- მცირე ბიზნესი – 14.0 პროცენტი.

საშუალო თვიურმა ხელფასმა ბიზნეს სექტორში შეადგინა 717.7 ლარი, მათ შორის ქალების - 505.3 ლარი. საწარმოთა ზომის მიხედვით საშუალო თვიური ხელფასი შემდეგნაირია:

- მსხვილი ბიზნესი – 831.2 ლარი,
- საშუალო ბიზნესი – 510.7 ლარი,
- მცირე ბიზნესი – 507.1 ლარი.

საქმიანობის სახეების მიხედვით მთლიან ბრუნვაში პრევალირებენ „ვაჭრობა; ავტომობილების, საყოფაცხოვრებო ნაწარმისა და პირადი მოხმარების საგნების რემონტი“ და სხვა სექტორები შემდეგი თანმიმდევრობით:

- „ვაჭრობა; ავტომობილების, საყოფაცხოვრებო ნაწარმისა და პირადი მოხმარების საგნების რემონტი“ – 47.4 პროცენტი,
- „დამამუშავებელი მრეწველობა“ – 18.1 პროცენტი,
- „ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა“ – 13.4 პროცენტი,
- „მშენებლობა“ – 7.3 პროცენტი,
- „ელექტროენერგიის, აირისა და წყლის წარმოება და განაწილება“ - 4.7 პროცენტი.

საქმიანობის სახეების მიხედვით პროდუქციის მთლიან გამოშვებაში პრევალირებენ „დამამუ-შავებელი მრეწველობა“ და სხვა სექტორები შემდეგი თანმიმდევრობით:

- „დამამუშავებელი მრეწველობა“ – 31.8 პროცენტი,
- „ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა“ – 16.7 პროცენტი,
- „ვაჭრობა; ავტომობილების, საყოფაცხოვრებო ნაწარმისა და პირადი მოხმარების საგნების რემონტი“ – 15.7 პროცენტი,
- „მშენებლობა“ – 13.3 პროცენტი,
- „ელექტროენერგიის, აირისა და წყლის წარმოება და განაწილება“ – 5.7 პროცენტი.



რაც შეეხება დასაქმებულთა რაოდენობას, საქმიანობის სახეების მიხედვით დასაქმებულთა მთლიან რაოდენობაში პრევალირებენ „დამამუშავებელი მრეწველობა“ და სხვა სექტორები შემდეგი თანმიმდევრობით:

- „დამამუშავებელი მრეწველობა“ – 17.9 პროცენტი,
- „ვაჭრობა; ავტომობილების, საყოფაცხოვრებო ნაწარმისა და პირადი მოხმარების საგნების რემონტი“ – 17.9 პროცენტი,
- „ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური დახმარება“ – 13.5 პროცენტი,
- „ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა“ – 13.1 პროცენტი,
- „მშენებლობა“ – 9.5 პროცენტი.

განსხვავებული ტენდენციაა ცალკეული სქესის მიხედვით დასაქმებულთა მთლიანი რაოდენობის საქმიანობის სახეების მიხედვით განაწილებაში:

დასაქმებულ ქალთა მთლიან რაოდენობაში პრევალირებენ „ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური დახმარება“ და სხვა სექტორები შემდეგი თანმიმდევრობით:

- „ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური დახმარება“ – 27.3 პროცენტი,

- „ვაჭრობა; ავტომობილების, საყოფაცხოვრებო ნაწარმისა და პირადი მოხმარების საგნების რემონტი“ – 20.2 პროცენტი,
- „დამამუშავებელი მრეწველობა“ – 14.8 პროცენტი,
- „ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა“ – 8.0 პროცენტი,
- „ოპერაციები უძრავი ქონებით, იჯარა და მომხმარებლისათვის მომსახურების გაწევა“ – 6.8 პროცენტი.

დასაქმებულ კაცთა მთლიან რაოდენობაში კი პრევალირებენ „დამამუშავებელი მრეწველობა“ და სხვა სექტორები შემდეგი თანმიმდევრობით:

- „დამამუშავებელი მრეწველობა“ – 19.9 პროცენტი,
- „ვაჭრობა; ავტომობილების, საყოფაცხოვრებო ნაწარმისა და პირადი მოხმარების საგნების რემონტი“ – 16.4 პროცენტი,
- „ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა“ – 16.3 პროცენტი,
- „მშენებლობა“ – 14.5 პროცენტი,
- „ოპერაციები უძრავი ქონებით, იჯარა და მომხმარებლისათვის მომსახურების გაწევა“ – 8.9 პროცენტი.

შემდეგი დიაგრამა ასახავს ცალკეულ სექტორებში დასაქმებულთა მთლიანი რაოდენობის განაწილებას სქესის მიხედვით:



რეგიონების მიხედვით მთლიან ბრუნვაში პრევალირებენ ქ. თბილისი და სხვა რეგიონები შემდეგი თანმიმდევრობით:

- ქ. თბილისი – 72.9 პროცენტი,
- ქვემო ქართლი – 6.5 პროცენტი,
- აჭარის ა.რ. – 5.5 პროცენტი,
- იმერეთი – 4.5 პროცენტი,
- სამეგრელო-ზემო სვანეთი – 3.3 პროცენტი.

რეგიონების მიხედვით პროდუქციის მთლიან გამოშვებაში პრევალირებენ კვლავ ქ. თბილისი და სხვა რეგიონები შემდეგი თანმიმდევრობით:

- ქ. თბილისი – 62.4 პროცენტი,
- ქვემო ქართლი – 11.0 პროცენტი,
- აჭარის ა.რ. – 6.2 პროცენტი,
- იმერეთი – 5.6 პროცენტი,
- სამეგრელო-ზემო სვანეთი – 4.3 პროცენტი.

შემდეგი დიაგრამა ასახავს რეგიონების (ქ. თბილისის გარდა) მიხედვით ბრუნვასა და პროდუქციის გამოშვებას:



რაც შეეხება დასაქმებულთა რაოდენობას, რეგიონების მიხედვით დასაქმებულთა მთლიანი რაოდენობის განაწილება ხასიათდება შემდეგი თანმიმდევრობით:

- ქ. თბილისი – 60.2 პროცენტი,
- იმერეთი – 8.7 პროცენტი,
- აჭარის ა.რ. – 7.6 პროცენტი,
- ქვემო ქართლი – 7.3 პროცენტი,
- სამეგრელო-ზემო სვანეთი – 5.0 პროცენტი.

მცირედ განსხვავებული ტენდენციაა ცალკეული სქესის მიხედვით დასაქმებულთა მთლიანი რაოდენობის რეგიონების მიხედვით განაწილებაში:

დასაქმებული ქალები:

- ქ. თბილისი – 61.0 პროცენტი,
- აჭარის ა.რ. – 8.1 პროცენტი,

- იმერეთი – 8.0 პროცენტი,
- ქვემო ქართლი – 6.3 პროცენტი,
- სამეგრელო-ზემო სვანეთი – 4.7 პროცენტი.

დასაქმებული კაცები:

- ქ.თბილისი – 59.7 პროცენტი,
- იმერეთი – 9.2 პროცენტი,
- ქვემო ქართლი – 7.9 პროცენტი,
- აჭარის ა.რ. – 7.3 პროცენტი,
- სამეგრელო-ზემო სვანეთი – 5.2 პროცენტი.

შემდეგი დიაგრამა ასახავს ცალკეულ რეგიონებში დასაქმებულთა მთლიანი რაოდენობის განაწილებას სქესის მიხედვით:



შენიშვნები

1. სტატისტიკურმა გამოკვლევამ არ მოიცვა:

- საქმიანობის სექტორები J, L, P, Q,
- 52.62.2 (საცალო ვაჭრობა ბაზრებსა და ბაზრობებზე)

2. გამოკვლეული საწარმოები კლასიფიცირდებიან:

- ძირითადი საქმიანობის შესაბამისად,
- ფაქტიური მისამართის შესაბამისად.

3. ადგილობრივი საქმიანობის სახის ერთეულის, როგორც სტატისტიკური ერთეულის შემოღებამდე ქ. თბილისში ჩართულია რამოდენიმე მსხვილი საწარმო:

1. შპს „საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაცია“
2. შპს „საქართველოს ფოსტა“
3. შპს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“
4. სს „სილქნეტი“
5. შპს „საქართველოს რკინიგზა“
6. სს „ენერგო-პრო ჯორჯია“
7. სს „საქენერგორემონტი“
8. შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია“ და ა. შ.

4. რელიზში გამოყენებულია **ეკონომიკური საქმიანობის სახეების** შემდეგი **კლასიფიკაცია:**

ეკონომიკური საქმიანობის სახეების კლასიფიკაცია (ეფუძნება ევროპულ სტანდარტს NACE rev. 1.1.)

სექციების ნუმერირება და დასახელებები

A	„სოფლის მეურნეობა, ნადირობა და სატყეო მეურნეობა“
B	„თევზჭერა, მეთევზეობა“
C	„სამთომოპოვებითი მრეწველობა“
D	„დამამუშავებელი მრეწველობა“
E	„ელექტროენერგიის, აირისა და წყლის წარმოება და განაწილება“
F	„მშენებლობა“

G	„ვაჭრობა; ავტომობილების, საყოფაცხოვრებო ნაწარმისა და პირადი მოხმარების საგნების რემონტი“
H	„სასტუმროები და რესტორნები“
I	„ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა“
J	„საფინანსო საქმიანობა“
K	„ოპერაციები უძრავი ქონებით, იჯარა და მომხმარებლისათვის მომსახურების გაწევა“
L	„სახელმწიფო მმართველობა“
M	„განათლება“
N	„ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური დახმარება“
O	„კომუნალური, სოციალური და პერსონალური მომსახურების გაწევა“
P	„შინამოსამსახურის საქმიანობა და შინამეურნეობების საქმიანობა, დაკავშირებული საქონლისა და მომსახურების წარმოებასთან საკუთარი მოხმარებისათვის“
Q	„ექსტერიტორიული ორგანიზაციების საქმიანობა“

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური